საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №666
2020 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის №562 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის №562 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 040150000.22.027.017058) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უფლებათა სისტემური რეგისტრაცია დაიწყოს ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე და ამავე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში დასრულდეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში – 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გოჩა ლორთქიფანიძე**